საქართველოს სახალხო დამცველი ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისათვის

ნახატის ავტორი: ლიზი ჯუღელი (9 წლის)

ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად!

რა არის ადრეულ ასაკში ქორწინება?

ადრეულ ასაკში ქორწინება არის რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ–ერთს ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკისთვის. ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით.

რა განაპირობებს ადრეულ ასაკში ქორწინებას?

არაერთი კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების განმაპირობებელი მიზეზებია: სოციალურ – ეკონომიკური სიდუხჭირე; აღზრდის მკაცრი სტილი; იძულებით/გარიგებით ქორწინება; სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის ნაკლებობა; ტრადიციული ფაქტორი; მომავლის არასწორი შეფასება; პერსპექტივების ნაკლებობა.

რა ზეგავლენა აქვს ადრეულ ასაკში ქორწინებას?

ადრეული ასაკში ქორწინება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებაზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, საზოგადო და სოციალური ცხოვრების დონეზე.

ადრეულ ასაკში ქორწინება ბავშვის უფლებადარღვევაა, რომლის დროსაც ხდება მოზარდობის პერიოდის, განათლებისა და ჯანმრთელობის უფლების შეზღუდვა, უარის თქმა განათლების მიღების გაგრძელებაზე, რაც იწვევს უმუშევრობას, ეკონომიკურ პრობლემებს და ღირებულებების გადაფასებას, ხშირ შემთხვევაში წარმოქმნის ისეთ პრობლემებს როგორიცაა: ოჯახში ძალადობა, სხვადასხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულება (ალკოჰოლური, ფსიქოტროპული), განქორწინება და სხვა.

ადრეულ ასაკში ქორწინების რა ფორმები არსებობს?

იძულება – ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მშობლები არასრულწლოვანებს, ხშირად, შერჩეულ პარტნიორზე

საკუთარი ნების გაუთვალისწინებლად აქორწინებენ. მშობლის ასეთი ქმედება შეიძლება ძალადობის ერთ–ერთ ფორმად – ფსიქოლოგიურ ზეწოლად ჩაითვალოს. ძალადობის სახეობის – იძულების ერთ–ერთი ფორმაა მოტაცება, იგივე თავისუფლების უკანონო შეზღუდვა. მართალია მოტაცების მიზანი ქორწინებაა, მაგრამ ის წარმოადგენს ძალადობას და ისჯება კანონით.

არასწრულწლოვანის გაუაზრებელი თანხმობა– გარდატეხის ასაკი რთული პერიოდია მოზარდის ცხოვრებაში. ამ ასაკში არასრულწლოვნები საზოგადოებაში თვითდამკვიდრებას ცდილობს და ხშირად საკუთარი თავის რეალიზების გზად, ქორწინებას ირჩევს.

გარიგება ტრადიციის საფუძველზე – ,,აკვანში დანიშვნა“, როდესაც ერთმანეთისადმი მეგობრულად განწყობილი მშობლები, დანათესავების მიზნით, თავიანთ შვილებს აკვნიდან ნიშნავენ.

რა შემთხვევაშია დასჯადი ადრეულ ასაკში ქორწინება?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140–ე მუხლი დანაშაულად აღიარებს სრულწლოვანის სქესობრივ კავშირს 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან. აღნიშნული ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 – დან 3 წლამდე. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება ქორწინების იძულება (მუხლი 150[1]), ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 – დან 4 წლამდე.

ადრეულ ასაკში ქორწინება დასჯადია მისი ყველა ფორმით გამოვლინების შემთხვევაში, გამონაკლისი დაიშვება **16 წლის ზემოთ** პირების ქორწინების შემთხვევაში, მშობლის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაკუთრებული მიზეზის არსებობის დროს.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი საკუთარი სურვილით დაქორწინდა?

ხშირად ვაწყდებით შემთხვევას, როცა არასრულწლოვანის ადრეულ ასაკში ქორწინება მისი სურვილით მოხდა, თუმცა საქართველოს კანონმდებლობით, პირს 18 წლის ასაკიდან ეძლევა ქორწინების უფლება, გამონაკლის შემთხვევაში, 16 წლის ასაკიდან (მშობლის თანხმობის შემთხვევაში, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით).

აქვს თუ არა დაქორწინებულ არასრულწლოვანს სკოლაში სიარულის უფლება?

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და მას აქვს განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობისა და განათლების თავისუფალი არჩევანის უფლება სწავლის ყველა ეტაპზე; ბავშვის განათლების უფლება დაცულია ბავშვის უფლებათა კონვენციით და საქართველოს კანონმდებლობით. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით. განათლების მიღების უფლება აქვს ყველა ბავშვს, იმის მიუხედავად დაოჯახებულია ის, ორსულად არის თუ სხვა რაიმე მიზეზით ფიქრობს, რომ სკოლა მას არ მიიღებს.

რა სახის ზიანი შეიძლება მიადგეს არასრულწლოვანის ჯანმრთელობას ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში?

18 წლამდე ასაკში დაქორწინებული გოგონების რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ასევე, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკი მაღალია. იქმნება ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები როგორც დედის, ასევე ახალშობილის მხრივ, იზრდება სიკვდილიანობა. მსოფლიოს მასშტაბით ყოველ წელს 15–19 წლამდე ასაკის 70000 გოგონა იღუპება ორსულობის ან მშობიარობის გართულების შედეგად.

რა არის რეპროდუქციული ჯანმრთელობა და რა ზიანი მოაქვს ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრების დაწყებას?

რეპროდუქციული ჯანმრთელობა არის ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების არქონა, რაც უკავშირდება რეპროდუქციულ სისტემას, მის ფუნქციებსა და მასში მიმდინარე პროცესებს, არამედ უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრება და გამრავლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი უფლება, გადაწყვიტონ და ვალდებულება აიღონ, თუ როდის და რამდენი შვილი იყოლიონ. სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვა ეხება როგორც რეპროდუქციას, ისე სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციას, რაც

მოიცავს: თანასწორ სქესობრივ ურთიერთობას, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან თავის დაცვას, სურვილისამებრ ორსულობას ან ორსულობის თავიდან აცილების უფლებას.

რა არის ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების რისკები?

ადრეულ ასაკში დაწყებული სქესობრივი ცხოვრება შესაძლოა გახდეს არაერთი საშიში, მათ შორის სიმსივნური, დაავადებების გაჩენის მიზეზი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ასპექტებიც, რაც მოქმედებს მოზარდ ადამიანზე და ხშირად მის პირად ცხოვრებას მთლიანად ანგრევს.

მართალია თუ არა, რომ ადრეულ ასაკში დაქორწინებული გოგონები ხშირად ხდებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი?

სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ქორწინებას ხშირად თან სდევს ძალადობა ოჯახში. ქორწინების შემდეგ გოგონები უარს ამბობენ განათლების გაგრძელებაზე, რისი შედეგიც არის შემდგომი უმუშევრობა და ეკონომიკური პრობლემები, ინფორმაციის ნაკლებობა თავიანთი უფლებების შესახებ, შესაძლო შეზღუდვები პარტნიორის მხრიდან, ეკონომიკური დაქვემდებარება, რაც განაპირობებს ძალადობის მაღალ რისკს.

რა შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად?

ფიზიკური: ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

ფსიქოლოგიური: შეურაცხყოფა, დამცირება, მუქარა.

იძულება: ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, ადამიანის სურვილის საწინააღმდეგოდ მასზე ზემოქმედება.

ეკონომიკური: შრომის, საკვების, თანასაკუთრების, კუთვნილი წილის უფლების შეზღუდვა.

სექსუალური: ადამიანთან სექსუალური კავშირი ძალადობით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

უგულებელყოფა: მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა.

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი იძულებითი ქმედებისაგან, რაც საზიანოა მისი განვითარებისათვის

ვის შეიძლება მივმართო, თუ ვფიქრობ, რომ ჩემი უფლება დაირღვა?

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებაა ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა, შესაბამისი სამართალწარმოება, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, სააგენტოს ინფორმირება; საპატრულო პოლიციასთან დასაკავშირებლად უნდა დარეკოთ – 112.

სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილებაა ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასება, შემთხვევის მართვა, კონსულტირება, ზედამხედველობა; სოციალური მომსახურების სამინისტროს ცხელი ხაზი – 1505.

სკოლებისა და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულების უფლებამოსილებაა ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში, პილიციის ან სააგენტოს ინფორმირება. შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი სკოლის პედაგოგს, დირექტორს, ფსიქოლოგს.

სამედიცინო დაწესებულების და სოფლის ექიმების უფლებამოსილებაა ბავშვზე ძალადობის ფაქტის გაანალიზება, საჭიროების შემთხვევაში პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირება.

ვის შეიძლება მიმართოთ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში?

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში უნდა მიმართოთ საპატრულო პოლიციას, პოლიციას, სკოლას, სოციალური მომსახურების სააგენტოს, თქვენს დასახლებაში მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს.

საქართველოს საპატრულო პოლიცია ,,112“; სოციალური მომსახურების სააგენტო ,,1505“; საჯარო ან კერძო სკოლა; ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი 2309 903; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი – 2 91 38 14/15

საქართველოს სახალხო დამცველი და ქალთა უფლებების დაცვა

ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოს სახალხო დამცველის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის უზრუნველსაყოფად 2013 წლის 15 მაისიდან შექმნილია გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი.

ვის შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველის აპარატს?

საქართველოს მოქალაქეს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა მათი უფლებები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ან ნებისმიერ მესამე პირს, მათ შორის სრულწლოვანების ასაკს მიუღწეველ პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა სავარაუდო დარღვევის შესახებ, შეუძლიათ მიმართონ სახალხო დამცველს განცხადებით ან საჩივრით.

რა ფორმით შემიძლია მივმართო სახალხო დამცველის აპარატს?

სავარაუდო უფლებადარღვევასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველს წერილობითი განცხადება ან საჩივარი შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ფოსტით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტითაც, ასევე, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის მეშვეობით ან უშუალოდ მოიტანოთ სახალხო დამცველის ოფისში.

კონფიდენციალურობა

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია თქვენი თანხმობის გარეშე არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა.

დაირღვა თქვენი უფლებები?

მიმართეთ სახალხო დამცველს!

თბილისი:
ნინო რამიშვილის ქ. #6. თბილისი 0179
ტელ: +995 32 223 44 99/ 291 38 14/ 291 38 15/ 291 38 41/
291 38 42/ 291 38 43/ 291 38 75/ 291 38 76/ 291 38 77
ფაქსი: +99532 91 38 41
ელ–ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშილის ქ. #9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 577 50 52 31

ზუგდიდი:
კოსტავას ქ. #58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 577 50 52 34

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.#36
ტელ: 0350 27 99 27
მობ: 591 88 35 38

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. # 18
ტელ: 0431 25 33 50
მობ: 577 55 33 81

გორი:
სამების ქ. #1
ტელ: 0370 27 05 49
მობ: 577 78 27 42

მარნეული:
რუსთაველის ქ .# 51
ტელ: 375 22 19 70
მობ: 593 17 18 55

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. #4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70; 577 12 27 71

www.ombudsman.ge

საქართველოს
სახალხო დამცველი

OXFAM

გამოცემულია ბრიტანული საქველმოქმედო
ორგანიზაციის
,,ოქსფამი“ მხარდაჭერით

თბილისი, 2015